


საქართველო

4

თებერვალი
1991



პლაკატი ჯემალ ლულუბანი



პართლის ცხოვრება მიიგება, ეკლიანია სავალი,
ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი — მრავალი.
კაციც ის არის, ვინც პოვა ზირთაბან ბამოსავალი,
ვინაც თავისად ჩათვალა ხალხის თავბადასავალი.
პართლის ცხოვრება მიიგება, ეკლიანია სავალი,
ცოტაა ია და ვარდი, დაბრკოლება კი — მრავალი.
წელთა დენაში, ჟამით-ჟამს იღლება, ძალა ეღება,
ღვინოც კი სისხლიანია, მოზოგდი, არ დაბელება!

გ ა ლ ა კ ტ ი მ ნ ი

პრეზიდენტის კარგ-შეანში

პრეზიდენტმა მოითხოვა და უბოძეს მთელი
ძალაუფლება, როგორც ავტორიტარს, და მას შემდეგ
დისკუსიას, ხალხისაგან შესიტყვებას უკვე ვეღარ იტანს!

ეს კარტ-ბლანში არ გეგონოთ უბრალო არც პრაქ-
ტიკაში და არც პლანში, გახლავთ იგი პოლიტიკოს-
ჟონგლიორის თამაში — თან სისხლს ღვრის და თან ხე-
ლებს შლის: განა, ხალხნო, ცუდს რას ხედავთო ამაში?!
ერთი სიტყვით, თვითონ ვერ გრძნობს, სად და რო-
გორ ამლაშებს!

კარტ-ბლანში — ნაგულისხმევ უსაზღვრო რწმუნება-
თა შეუფლებელი, პარლამენტისაგან ხელმოწერილი ბლან-
კი!.. ტრიბუნასთან — ზოგადსაკაცობრიო ღიმილი, მშვი-
დი ლაპარაკი, ქუჩებში კი — ხიშტ-ნიჩბები, თვითმავა-
ლი ქვემეხი, ჰაუბიცა, ტანკი!..

ჰყავს არმია იმპერიას და ორივე იმფერია, პატრო-
ნიც და ნაგაზიც, რომ ყოველთვის იხსენიებ იუმორით,
სარკაზმით!..

და მოგორავს იმპერია — რკინის კასრი, მუდამ სავ-
სე ფეთქებადი დენით, ხალხს მოჰქელავს, მშვიდობიან
ხალხს მოჰქელავს, ვერ აჩერებს მის ავ გორვას თვითონ
პრეზიდენტი!

იმპერიის გარეთ კვლავაც მედგრად იცავს სხვა ერე-
ბის უფლებებს, საზღვარგარეთ კვლავაც უყვართ, ეძა-
ხიან უძღვევდნენ! მკერდით იცავს ნაშიბიას, იცავს ნიგე-
რიას, საკუთარ ხალხს... ბაქოს, თბილისს ჭარით მოგვე-
რია!

არმია კვლავ ხალხს იცავსო! — ითქვა, ბევრჯერ
ითქვა! ამ მიზნით თუ შეესია გვიან ღამით ლიტვას!..

და მოგორავს იმპერია — რკინის კასრი, მუდამ სავ-
სე ფეთქებადი დენით!.. განი! წინ ნუ დაუდგები, არ
გაბრიყვდე, არ გაგიწყურეს ღმერთი! შორიახლო ცხელ
კასრს მოსდევს უკან პრეზიდენტი!..

ცხელ წერტილებს გვირიგებს, ვით კვერებს და
„ბუბლიკებს“, ეკვეყუციით ბორკავს ჩვენს „ჭიუტ“
რესპუბლიკებს! უღვევლად აქვს ყველასთვის ძვირფასი
ამანათი — ხელდახელ გაჭილდოებს კომენდანტის სა-
ათით!..

ახლა ჩვენ გვპატრონობენ! აბა, რაღას ვინაღვლით —
მთლად აივსო ჭარბით ჩვენი ჭავა, ცხინვალი!..

ვუმწეროთ ჭავშან-ტექნიკას, ვით სიმშვიდის მაკე-
ტებს!.. ვილაც მაინც ახერხებს — სამტრო საქმეს აკე-
თებს — ტერორისტებს ხელთ აძლევს ფუგასებს და რა-
კეტებს!..

ვაუკაცებს გვიხოცავენ ტერორისტი ოსები — ბრმა
იარაღს ხმარობენ მოსკოველი ბოსები!..

მშვიდობისთვის აძლევენ კაცს ნობელის პრემიას,
მის საქმეებს ჰკვირობენ „ვზგლიადი“ და „ვრემია“!..

და კვლავ ასე გრძელდება 'პრეზიდენტის კარტ-ბლან-
ში' ეს არ არის მშვიდობა, გახლავთ მხოლოდ თამაში!

მერაბ ელგუჯაური

ნახ. ბ. კუციანი



შეწყებული აქვს იაზოვს თოფი
და ნაბულზე დგას პატრიკეევი,
პირს მოსდგომია პრეზიდენტს ცოფი,
მონატრებია გლოვის დღეები!

ვერ მოისვენებს სული ბოროტი,
სანამ არ ნახავს კეთილის საფლავს,
სანამ საბჭოთა კაცი — რობოტი —
საკუთარ ხელით მამას არ დაკლავს!

დენტის სუნი აქვს ცენტრის მუქარას
და ტანკების ხმა მესმის ყურებში!..
თუ არ გავფრთხილდით, ცენტრი მიქარავს —
ტყვიით მოგვიკლავს იმედს გულეში!

ნიკოლოზ იოსელიანი

ნახ. ბ. ზუბაშვილისა





„პრობლემა“

ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა — დღეს ყველაფერი პრობლემა გახდა! ვინც ითაღლითა და იფაფხურა, მისთვის პრობლემა არ არის ახლა! პახუხად, სადაც კი მიდიხარ, ხულ გვესმის:



„არ არის, არ არის!“
ბრძენი ხარ, გიჟი ხარ, ბრიყვი ხარ, —
ეს არ აინტერესებს არავის!
ყველაფერს — მსხვილმანს, თუ წვირლმანს ხულ ეძებ, ეძებ და ეძებ.. ეძებ ათასგვარ მეთოდს, ეძებ ათასგვარ ხერხებს, ოღონდ კი იშოვო რამე!.. და ბოლოს, სადაც შენს ბედზე ყიდულაობ ხუთმაგად ხელზე! პრობლემაა ჰაერი, მიწა და წყალი! რომ აიკილო ათასი ვალი, ხულ რომ გაიძრო ტყავი, მიდი და ამ პრობლემებს მოაბი თავი!.. ერთი პრობლემა მოვისხენ მხოლოდ — შინ დავა შევწყვიტე ბოლოს და ბოლოს! თუმცა გამათახეს ჩემი რძლის მშობლებმა, თუმცა გამლანძღეს ჩემმა მეზობლებმა, პირველ შვილიშვილს დავარქვი „პრობლემა“! იწვალოს ჩემსავით პრობლემებით, ცხოვრებას გაუგოს უფრო გემო, ანდა ისეთი დრო დამდგარიყოს, — ღმერთმა ქანს, — ეცხოვროს უპრობლემოდ!

ძალღური ცხოვრება

ზოგი კაცი, რომ იტყვიან, ძალღივით ცხოვრობს, და ზოგი ძალღი ცხოვრობს კაცივით. მას აქვს ოთახი, განა სორო, არ აკლია სახმელ-საჭმელი — არც ცხელი, არც ცივი ცხოვრობს და ნებივრობს ადამიანებთან, თვლიან კაცად, ყუფას თავი რადგან მიანება! კაცი კი, რომელიც ცხოვრობს ძალღივით, წვალობს, ჯახირობს ცხოვრებისაგან ნაცემ-დაღლილი.. შრომობს, დარბის ზევით, ქვევით, დაბლა და მაღლა და მაინც კაციშვილი არ აგდებს ძალღად! ოთახის ძალღი კი, არც ისე ქებული არც საქმით, არც ჯიშით, თვლემს ხავარძელთან, დადის პარკეტზე, ჰყავთ დიდ პატავში..

ილაპარაკოს, ოღონდ ქართულად!

გურამ პეტრიაშვილს

მტრებთან ბრძოლაში არ დავიდლებით, — ჩვენთან რომ გვერდით ლაღად გართმბულანი ვირებმა ბევრჯერ გვირტყეს წიხლები, ვლაპარაკობდით მაინც ქართულად! ვინც რუსეთუმეს არის დამცველი, ტყუილად ჰყვება იგავ-არაკებს! საქართველოში ნაღდი ქართველი მხოლოდ ქართულად ილაპარაკებს! ზოგ ქმას, დიდების ძებნაში გართულს, არ ახსოვს ჩვენი არც ცა, არც — მიწა!.. (უცხო ქვეყნებში სწავლობენ ქართულს, ქართველნი, ჩვენ რა

ღმერთი გაგვიწყრა?! ქართულის ლანძღვას დღეს ვისმინთ უხვად, მაგარამ თავს მაინც არვისთან დავხრით! თავისი ენა ვისაც არ უყვარს, იმას არ უყვარს თავისი ხალხი! ერმა განსაჯოს ყოველი სიტყვა, გურამ, აქამდე შენზე რაც თქმულა! ყველა ქართველმა რაც უნდა, ის თქვას, ილაპარაკოს, ოღონდ ქართულად!

* * *

ვიღაც უცხო ჩემზე მაღლა ცხოვრობს ერთი ხართულით, არ ჰყავს და-ძმა, არც — მშობლები, არც — ქვისლი და ნათლული!..



არის კარის მეზობლებში ინტრიგნობით განთქმული ხმის ტონი აქვს აწეული, შემოხედვა — მზაკვრული!.. იღრიჭება — „ქართველი ვარ, მიქერჩება კართული“ — თუმცა არ სწამს იმას ჩვენი არც ხატი და არც რჭული! რა კაცია — არვინ არის განმკითხავი, მსაჭული!.. მიტომ არის საქართველო დღემდე ასე ტანჭული!

სიზღვარა ბრძენებზე

სრულდება ორდენ-მედლების უღარუნში ვერ მტყველებდა, ვერ წერდა,

არც იყო დიდი ქაქანა, გარაუში ეღა ორმოცი უცხოურ ფირმის მანქანა! არ თაკილობდა იგი ძღვენს, არ თაკილობდა იგი ჩინს! კინაღამ გახდა ბელადი, როგორც ვლადიმერ ილიჩი რაც კი შეეძლო, იხვეჭა, როგორც ხრუშჩოვმა ნიკიტამ, მკერდი არ ეყო — მედლები ქამარზეც ჩამოიკიდა!.. ის იყო დიდი ლენინის გზის განმგარძობი და მძევალი მარტო სტალინი ამხილა, ვით ქვეყნის დამაქცევარი! ბრეჟნევის იგონებს ფაშისტი, და დღესაც შიშით თრთის მტერი! —

მას მოუგია ომი და მახვე მოუკლავს ჰიტლერი!.. უცხო ქვეყნებშიც დარბოდა მედლებზე სანადიროდა, გულჩვილი იყო ბავშვივით, სუყველაფერზე ტიროდა!.. თუმც ვერ მოესწრო კომუნისზმ (ვაცხოვით მისი დღეს ხული!) სიცოცხლეშივე ყოფილა ის კომუნისზმში შესული!.. და უღარუნებდა მის მკერდზე მედლები, როგორც ეფვენები!.. ასეთი იყო ილიჩი — ჩვენი ლეონიდ ბრეჟნევი!

მისამღვარი

იცხოვრა სამარცხვინოდ, გურულად რომ ვთქვათ — მოკაყვით! როგორც გვაშენა, დე, ისე აშენდა მისი ოჯახი!

გეპიტხეპით!

ექიმებმა ამას წინათ გადამრიეს კინაღამ: რჩევა მომცეს — ცუდად გავხდი!.. ასეთი რამ გინახავთ? მითხრეს: „გინდა, კარგად იყო და იცხოვრო დიდხანს? — მოგვისმინე, დავიჭერე და მაღლობა გვითხარ! არ იარო რესტორნებში, ხულ შეეშვი ძმაკაცებს, დაუჭერე ცოლს და სიდერს, ორივე რომ გაფანებს! მუავებს, მწარებს, ნიგვზიანს და ძმრიან კერძებს ნუ ჭამ, თუ გინდა, რომ ნორმალურად იმუშაოს კუჭმა!

კიტრს, პამიდორს,
ნესეს, საწამთროს
ნუ იყიდი, გაწყენს —
ნიტრატებით არის ხავსე,
ხალხი ლამის დაწყდეს!
ბოსტნეულს და ხილსაც ნუ ჭამ,
საშიშია ძალზე!
ქოლერაა მოდებული,
ჩვენთანც მოვა ხვალ-ზეგ!
შაქრიანს და მარილიანს
მოერიდე კერძებს!
რა სჯობია ჩაისს, მაწონს,
არაჟანს და ცხელ რძეს?
ნუ ენღობი კვერცხს და ქათამს,
ღორისა და ცხვრის ხორცს!
მენიუში ხორცეული
უნდა გამორიცხოს!
დაივიწყე დროსტარება —
პურმარილი, სუფრა!..
ღვინოს, არაყს, ლუღს, შამპანურს
ჩამოშორდი სულ მთლად!
ქალებს აღარ გაეკარო,
ნუთუ შენც არ იცი,
რომ ჩვენშიაღ შემოვიდა
ის წყეული შიღისი?
შინ იჭექი წყნარად, მშვიდად,
არ მოიკლო ძილი,
ხან ეწოში ასერინე,
თუ გყავს, შვილიშვილი!
პაპიროსიც არ მოხწიო,
იყავ უოვლად წმინდა!
გეკითხებით: მას, სიცოცხლე
აწი რაღად მინდა?

წახიერი კაცის მოსოლოში

ტაქსისტს ხურდა რომ მოვთხოვე,
შემომხედა ვაგლახად,


აქეთ მიიხრა საუვედური
და კინალამ გაგლახა!..
ბენზინს ვასხამ!.. უკვე ვატყობ,
მაკლებს ზუსტად სამ ლიტრას,
ოცი ლიტრის გაღვიხადე
და არ ავსებს „კანისტრას“!
წყნარად ვუთხარ: „რატომ მაკლებ,
არ გრცხვენია, შე ქალო?“
გამლანძღა და დამემუქრა:
„კიდევ მოხვალ ჩემთანო!“
დღეს შენიშვნა რომ მივეცი
ერთ გამყიდველს ცკრიალას,
შემომხედა, გაწიწმატდა,
თვალი დამიბრიალა!..
დამიყვირა: „კარგად ვიცი,
რაცა ხარ და ვინცა ხარ!“
„წუწურაქი“, „მეშჩანი“ და
„ინტრიგანი“ მიძახა!..
რესტორანში ოფიციატს
შენიშვნა რომ მივეცი,
მიიხრა: „შენ კერძს არ მოგიტან,
თვითონა ხარ მგლის კერძი!
პირწავარდნილ ჯიბეგის ჰგავხარ
გამოსახულებითო!
შენისთანა გლახა კლიენტს
არ ვემსახურებითო!“
მე დავლიე სამი ჰიქა,
სხვებმა — ლიტრი ორ-ორი,
სხვები გაქრნენ, შე მომადგა
უცებ „ჩორნი ვორონი“!
დავიყვირე: „მთვრალი არ ვარ,
ჩემგან რა გსურთ? შემეშვითი!“
თხუთმეტ წუთში თავი მიკრეს
გამოსახულებითო!..
ძმაკაცი მყავს ბაქი-ბუქა,
შებერტყილი, ქაქანა,
იმან „ვოლგა“ იყიდა და
მე — ხარცხი მანქანა!

სხვებს რომ საქმეს მე ვუკეთებ,
თვითონ ვიხდი „მალარიჩს“,
თუმც ხელფასი დაბალი მაქვს,
წნევა — სამჭერ მალალი!
შანსიანი რომ არა ვარ,
ბევრი თვალსაც მარილებს,
სხვები ფულსაც აგროვებენ,
მე ვაგროვებ... მარილებს!
მე რომ ბორჯს ვხვრებ,
სხვები მწვადებს
მიირთმევენ ცვრიანებს!
სხვების ბაზაა უვირის! ჩემი
კაკალიც არ ჩხრიალებს!
ერთხელ ვიღაც მთვრალმა მუშტი
რომ ჩამარტყა გოგარაში,
მე ვიჭექე. „ხადაც ჰერ არს“,
თვითონ იჭდა... „ვოლგაში“!..
ლატარიის ყიდვაშიაც
იღბლიანი არ მეთქმის:
მხოლოდ ერთხელ მოვიგე და
ისიც — ერთი მანეთი!
რადგან ფული არ შემომდის
იოლად და არამად,
სხვები „დაჩებს“ იშენებენ,
მე სარდაფიც არა მაქვს!
რომ ვარ ორდილომთიანი,
ნეტავ, რისთვის ვისწავლე?!
სხვები ფულსაც ითვლიან და
მე კი ვითვლი სხვის ვალებს!..
სამსახურში ვინც არ დადის,
ბაქიბუქობს უფრო ის!
სულ „ბატონოს“ ვეძახი და
მე მიყვირის უფროსი!
ინსპექტორზეც როგორ ვიტყვი
სიტყვას მოსაფერებელს?! —
წების დამრღვევს უშვებენ და
მულამ მე მაჩერებენ!
წებიერი კაცის გარდა.

ვინ მოითმენს ამის შეტს?!
სხვას რომ მყავდა საუვარელი,
ისიც მე მთხოვს პანდემონტს!
სიღვრი რომ ვარდიცვალა
(წამლებს სვამდა ამაოდ),
იმასაც მე მამბრალიან:
„მოკლა შენმა დარდმაო!“
პარიკმახერს შევეხვეწე:
„ძმავ, ცუდად ნუ გამჭირავი!“
გულიანად გავუღიმიე,
გავუხსენი თან კრიკა!
რომ შევხედე: „ხურდა მომეც,
ნუ გადიქვც მთლად ვაჭრად!“
დამიბღვრა: „ხომ არ გინდა,
თმასთან თავიც წაგაჭრა?!“
მარტო ექიმს არ ვემღური,
მასზე წყენას შევეშვი,
როცა მხინჯავს, თან მიყურებს
თვალეში და... ხელებში!
ხელოსანი მატყუებს და
სბეკულანტი ტყავს მაძრობს!..
ავადა ვარ, წუხელ სამჭერ
დავურეკე „ხასწრაფოს“!
„ხასწრაფოც“ რომ არ მოვიდა
(ახეთი რამ გინახავთ?!),
საუვედური წამომცდა და
მორგში მოვხვდი კინალამ!..
ამ ბოლო დროს ისე ვატყობ,
პრესაც ჩემი მტერია —
ნეკროლოგში, სხვის მაგივრად,
ჩემი გვარი წერია!..
მოკლედ, უველამ დამიჯანა,
რომ ვარ წყნარი, ალალი!
გეკითხებით: ხალხნო, ქვეყნად
სამართალი არ არის?!

ილუსტრაციები
X. ლოლუანი

ნახ. ბ. ზუგაშვილისა



ჩვენსი

0 2 0 5 0 6 5 5 5 5

33560 თუ ატარის პრეზერვაციას ყოველთვის სიმკვრივეთი დედალი და რომ ქდადი, სტეპალაზე მუდგუნული თანადან კლუბივლიდა ველ სიბითი შევსებოდა (ბოლო პრეზერვაცია დარბანში ოცდაათობიტი კაცი დაფავლელ).

გმა ასეთი აღწერავენის მუხეხი სი გახლდათ, რომ მალე თუატრში მუც ახლა პესი უნდა მიმეტანს, და უფრებობი, ასეთი სტეპალაქების მუდელ პესის ხარისხზე რაღა პრეტენზიებს წამობი-ყენებენ-მეთუ!


პესის თუატრის დირექტორს გაუფრებენ, თან ასეთი მინარისი წერილიც მივაყუღე: — დედა პატავივრული ამხანაგისი ვიხიავ თქვენი თუატრის სენსაზე განაბრაციული ღებე პესისა მისი დედა-მით თქვენ არავითარი სავრებო არ მოვლით, რაგონო ვერავენ დავსებთ, თითქოს ეს ღამის ამოღობივრე იყო. რაც შეეხება მხადეპული ღობე, თქვენ სტეპალაქების გაწინის მუდელ მუხილთა თანამდე ვარეყავით, რომ ღებე პესის სახეობი უფესხებასა უქვენს მებრ დაღებულ ერას, ვინაიდან იყო თქვენს მებრ დაღებულ პესი-ზე კოდე უფრ დასა დეს. რაც შეეხება მუხურებელი დარბე-ხას, ამ მხრზე, ვარწმუნები, საქმე კოდე უფრ კარავა წავა, და არ რატომ თქვენს პრადელ პრეზერვაცია დარბანში ხამოცდათა კაცი დაფავლელ, მებრზე — ირბიდაშვიდი კაცი, ხოლო მესამე პრე-ზერვაციის პრადელ მიწვეობასზე ოცდაათობიტი მუხურებელი დაფა-რელ. მუხილთა დაფავლელი, რომ ღებე პესის მიხედვით დაფრულ სტეპალაქ კოდე უფრ ხალხი მუხურებელი ვივლით, რაგონო დარბანს უხელდასტურები, მანა არ არის სავითარა კონსულტი და მიწვეუ პრეზერვაცია ხალხობი.

— ამ მომენტის განაბრების ღებე ახადებუდას, წარმოივადი-ნით პესის ვარსაღებულ და დაფავლელ. რაც შეეხება ინფორმაციებსა და მონაცემებს რეცეპტებს პესისა და ტელე-რადიოზე, ამსე მე თუოთი ვარწმუნებ. შესაძლოა, რეცეპტად თუოთი დაფერი და უსდევინაონი ვარეყავენი. პატე-ვისცემით ვარცხა დარბახელა“.

გავფრებ პესის და უფრებობ, ორი-სამი თვის მუდელ პესის მივლებ-მეთუ. მებრამ პესის მალე მივიღე: — რაღა პატავივრული ბატონი ვინცხაი წე ვარწმუნები, რომ თქვენი პესის დედაქას ამებრად ვერ ვახებებთ. საქმე ის გახლავი, რომ წერილი თქვენი დარბანს მხადეხი ორი წარმოივადი უნდა წაშვებოდა და სტეპალაქზე. ამითან ერთი ორავივრელია (ჩვენსა რეცეპტობა და რეცეპტობა) რომ ნაწილთა გზადება მუხილთა, ხოლო მებრ — ბატონობის თა-ნაშუაშემ დაფრავითა სავანებობი ღებე თუატრისათვის, წე ვარ-წმუნები“.

სასუბნა ძალზე დაბნენი. ღებე პესისზე ურტრის დინაი თუ სივლე რეცეპტობა, ვერ წარმოივადენი თუამე უოლიდა!

დაწვეულის მებრითი ასეთი კონსულტიცა ვაგონილი!



ნან. ჯ. ლოლუასი

— აი, თქვენ რეცეპტი წამალს მიიღებთ ოთხბერ დღეში, ექმის მუდელ!

— ექიმო, ადრე ზომ ვიხივებთ, მაგ რეცეპტთან ერთად საშუალო გამოიმიწერეთ-მეთუ?! ახლა ვალუფაც მივაყუღებთ!

უპრატახაწიო კაცის ნათქვამი, რა თიხა უნდა, არ ბატახე იუ ლთათიხის

ვარწმუნობ და ვხადავი მებრ კარგ საქმეს დღესე პატავივრულითა, ზოგ აფარის შუადი შობის ურტყენია ბატონობის რიცხა წამს, — მისას ვარწმუნა ხალხად არ არის ვინარია, ან კი არ მოვლენი, ას ვარწმუნებს დღეში, სივრცეობისზე უფრე მივლები და მარბებს მთისა ვარწმუნა კლავითა და გასკვირებულ ზოგ ზოგად ვარწმუნებს ხელდას მებრ თუოთი-დაფრების მინა უფრეს დაფრებობს ადრეში. რეცეპტობის მინა არის და ზოგჯერ კოდე ხალხობი მე ღებე ვარცხი, ღებე უფრ და ღებე უფრსხადები. კარავლელ ვარცხი, მებრად ვერა, ვერ დაფრავები! მესე მივარცხი ღებე მამული, მისი მთხის და მარბე, მას მხადეხუნობა მის აქებს. — ბარს თუ მისს მივებარებში უოლივრის მუდელი, კლავიც მებრს ოქარი, ვარცხი და ლღებში.



პესის მონაცრე არსდროს არ ვარწმუნავი თუხდები მივცედა ღობე, ვარწმუნა წინა-ვარცხობა, რაცა უფრსხობობა, სიხარბებს დარბა, მუხილთა მუხილთა ისე, რამ დაქარა სხვასა მამხარი სივრცობს და კაც ვარწმუნე, მწრბეული ღებე ვარწმუნა სივრცობს. ახლა მას მხადეხუნობი კლავიც უფრსხობობი ბივლის მებრ რატე, ახას და იდეას ვარცხი ვარცხი სივრცობის ვერა, რატე — არაო, აფრებობი სიხარბე, მებრ სიხარბე სხვადღეს ერთად ვარცხობი სიხარბე, მუდელი სიხარბე, რათა არ მარბეს დაფრე, არ განბარბებს ვარცხობი, ვარწმუნავებლ მარბა, უფრე და არა იდეა!

წალვა გულვა

ოქახუაწიო მხარსი

მათიხობისი მამა ურტყენს მუხლს: — ასე უცდილ რატომ სწავლობ ბებო?! იყო თუ არა, რომ შენი ხნს ვეოთ პირველი პირველი იყო ღებენი! — ვერ არ უოლიცი. მამა, მებრამ ის კი ვარწმუნე, რომ შენი ხნას ვაესი პირველი მათემატიკის იყო მარცხილობა.

— ლუსიო, — თუვეზობა ცოლი ვარწმუნა, — მათემატიკა დამიკავრე კარგე, მუხეპოდა. მუხივრევენი, ერთი სასეც უფრე სეფი დავუღებ და მებრ მანევივრე ვარწმუნე!

— შენმა შენი ვარწმუნებელი სეფიო!

— თუფნი სეფი მოასურთავაგო!

— ამა, დაწმუხურებია ამ მარწმუნობაში...

— ცოცა რომ გვარკება, ქალბატონი, — თუავადღურა ვარწმუნა ცოცა, — წინა სენსაზე არ დაფრავიანებოდა!

— შენ რომ ასე არ გვარკება, ვარწმუნე, მუდელ სენსაზე აღდენ ხნს არ მოვრევედა ლიბრისი...

ვალუფივრე მამა ბიკი მივლილის სანორბივრე მუხილთა: — გვარკება, და ღებელი ექმნის მამაქმეს სეფენი მათემატიკის მათსა ერთად ვარწმუნავი და ორი მამაკაცი დინა-ნა, ერთხელის რომ დაუზოვადლ ტრატავდენ.

— კი ვარწმუნა, რატომღა, ბებო, მამაშენი?

— ძია, ვეფენი მამას არაკვენი!

— დედა, შენ რომ ვარწმუნებამდე ხედეხილი მამას, ის თუავად-ბილი ახადებოდა იყო!

— რატავრეველი! სტეპინობი შენ ახლა სიბი წლით უფრისი რეცეპტობა!

— ღებეზობა რომ ვარწმუნებ, რას იხამ? — ეცობება დღე თა-ვის ვოლიდა!

— მივლე დღე ტელეფონით ვერბრევი...

— დაბადებობი დღეზე მისალუცი წერილი უნდა გავფრავინო ჩვენი ტრატყის მმართველი, — თუვენება წმირი ცოცა, — მაგ ვარწმუნე!

— სეფია კრებინთა!

— ვარცხ ვარწმუნა!

— მისი რომ მოვლენს საქმე!

— ამა, დაწმუხურთა: დღელ პატავივრული ბატონი მმართველი...

ჩაივარა ჩირუ ღებეზობა

ალსარებასავეთ ვამბობ: იდეურა ვიყავ და ხშირად მდენია ნეტარების ცრემლი, როცა კი მინახავს პოლიტიკური ხატებით — ბელადებით დამშვენებული კრემლი!

პირველი ხატი, ნამდვილად რომ მეგონა ცით მოვლენილი, იყო ლენინი! სადაც სხვები ებნენ რწმენის პალოზე, მეც იქ ვები, სანამ არ გაიხსნა დახურული არქივები!.. წაითხულმა პირველმავე ფრაზამ შემაქანა! — იქ ეწერა, თუ როგორ სრესდა ხალხს რევოლუციური ვაშათი აძრული მანქანა! საჭეს უჭდა თვითონ ლენინი, მანქანას ნაკვალევად რჩებოდა გვამების ქვაფენილი..

„ჩამოახრჩვეთ!“ — ჩემი ხატი კაცის ბედს ასე ადებდა რეზოლუციას, თითქოს ამის ნება თვითონ ღმერთს მიუცია! მერე უარები წავიკითხე; თუ როგორ ირჩებოდა დიქტატორი, თავიდან როგორ შემოიღო ტერორი წავიკითხე და თითქოს რწმენით ანთებულ გულზე დამკრეს დიდი მახათი — კრემლის კედლიდან ჩამოიქცა, ძირს დაეცა ჩემი უპირველესი ხატი!..

მომდევნო ხატი — უღვაშა, მრისხანე, სასწაულმოქმედი — დიდხანს მხიბლავდა რევოლუციონერის უმძიმესი ბელით. იოსებ სტალინი თვითონ კომუნისტებმა გააშავეს, მარტო ქვეყნის ღალატი არ აკმარეს, ფაშაზმის წინაშეც კი გამოიყვანეს დამნაშავედი! მისი სიკვდილიდან დადგა მეორე მარტი და სისხლით დალაქავდა ჩემი რწმენის ხატი!..

შემდეგი ხატი იყო ცვალებადი, მერყევი, ანეკდოტებით გვართობდა და თანდათან ღრმად შევყვით, ორღობეს ვახედავდა და ელანდებოდა კომუნისმი, ხალხს სიბლავდა მდგომარეობის კომუნისმი უყვარდა არაყი და ძეხვი კაცს, ჭკუით მარტოებს, სულ არ ჰგავდა იგი რევოლუციურ მარტივს! კრემლი მის დროს წააგავდა პოლიტიკურ ლექსს, ცხოვრება კი მიდიოდა სულ უკან და უკან! თვითონ იდეური ხატი, სახელად ნიკიტა, ძალიან ჰგავდა ჩვეულებრივ მიკიტანს! ხან სიმინდი იწამა, ხან — დიდი ქიმიკი, ძვირად დაუჭდა ქვეყანას მისი სტუმრობები და სამეურნეო აღქიმიკი. შიგნიდან შეუჩნდნენ, ვით ქვეყნის დამქცევ ცალთვალა დევს, უცბათ ააყირავეს და ძირს ჩამოაგდეს. ასე გამოაკლდა გენმდივანი ლაქლაქა კრემლის პოლიტიკურ ხატთა უძლეველ მარაქას.

სახატეში გამოკიდეს ახალი ხატი, თითქმის ბელადი და ჩინ-მედლებით აავსეს ყელამდის. იყო ლენინი გარეგნულად მშვიდი, იმედის მომცემი, უყვარდა საჩუქრები, ფული, ოქრო, არაყი და ლუდი ბოცებით. არ სჩვეოდა შიში, მუცლის გვრემა, ჰყავდა უცხოური მანქანების დიდი რემა, უყვარდა სახალხო დოვლათის გარე-გარე პნევა და მოღური ლოზუნგებით ხალხის

დახმევა! ლოზუნგებს საქმით ჩვენც შევეწიეთ, ხოლო ლენინი კვლავ რჩებოდა გარეგნულად მშვიდი, მოძრაობა, მიმოხვრა ჰქონდა ნელზე ნელი, სამაგიეროდ იყო „ჩვენი დროის უდიდესი მარქსისტ-ლენინელი“. მას ნიკიტასავით არ გაუმეტობრებია ცოლი, მარტო თვითონ იყო მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლი.

ვიდრე არ მოკვდა, ვერ გავერკვეთ, რომ თავისაწონი არაფერი ჰქონდათ არც მოსკოვსა და არც კიევს, ხალხი დაძრწოდა უპოვართა ბილიკებით, აქეთ იყო ცენტრი, იქით — რესპუბლიკები. არავინ იცოდა, რატომ შეიკრებ ეს კავშირი, რა გზით, რა მოტივით, ან რატომ გაჩერდა, რატომ აღარ იძვროდა მისი არსობის ლოკომოტივი!

ჩამოსხნეს სახატედან ლენინის ხატი და შორს ისროლეს, ვითა სახე ვინმე პრიმატის. მის მაგიერ ხატად შერაცხეს კაცი — გვართ შავი — ჩერნეკო! სხვა რომ შეერჩიათ, გამბედაობა ვერ ეყოთ. იყო ეს ჩერნეკო ხმადაბალი და თმათერი, ტრიბუნაზე მოძრაობები არ ჰქონდა მკვეთრი, ჰქონდა რაღაც სენი — ვერ იმართებოდა წელში, ჰქია თუ ეჭირა, ფრთად უცხაცხებდა პეშვი!..

და ამიტომაც ყველა პოლიტიკურ ხატს აღმატებული, უწყინარი ჩანდა კონსტანტინი. ისედაც სწამდათ იდეალად, რომც არ გაეძრია ტვინი, იყო იგი განათლებით ფილოლოგი, ლენინიდივით არც არაყი უყვარდა და არც მღოვავი!..

არც ვინმეს იჭერდა და არც რამ სიბრძნეს იჩენდა. მართალია, ამით ოდნავადაც წინ ვერ სწევდა მარქსისტულ მეცნიერებას, მაგრამ, სამაგიეროდ, ვერვინ დასწამებდა ბიწიერებას.

მართალია, როცა მსხვილი გაფლანგვებისას სკდებოდა საქმენი და რაც, ცხადია, სულ არ იყო მოსათმენი — ზოგიერთმა აყყამ მისკენაც გაიშვირა თითი, თუმცაღა ეს იყო მხოლოდ ნაცილი, წმინდა წყლის მითი.

ყოველივე ამის შემდეგ ვიწამე ხატად იდეური წმინდანი — კაცი, გვართ შავი, სახითა და თმით უმწიკველი თეთრი, მთელ მის არსებას გარეემოსა იდეის შუქი — ნათელი მკვეთრი!..

და გვენთო ხატად ხალხის უბადლო მსახური, იდეურად მართალი, ბიწით ვერვისგან შეღალხული!

მახსოვს, როცა საარჩევნო ურნასთან მოყვანილმა ქვეყნისათვის თავი გაწირა — ტკივილებს სძლია, სასურათედ ფეხზე წამოდგა და ლამის გადასადებდა განკუთვნილ ღროს გადააცილა, მე მაშინ იგი სამუდამოდ წმინდანად შევრაცხე და ხატად ვიწამე და მჭეროდა, რომ ჩემში ვერავინ წაშლიდა იმ წამებს!..

მე მასზე სასოებით პირვარს ვიწერდი და მის ნაწერებს, წიგნად გამოცემულს, უკანასკნელი კაბიკებით ვიძენდი!

გენმდივნის პოსტზე მოჭირანხულემ სიკვდილისთვის ძლივს მოიცალა — მოულოდნელად გარდაიცვალა!.. და როცა ნეკროლოგიით დაჯამდა მისი ოცოციალური ჭილდოები და ტიტულები, მის წამკითხველებს ლამის შიშით გადაუქანდათ გულები! შიშობდნენ, — ღმერთისგან როგორ უნდა ეპატიოს, როდეს იყო ლენინური პრემიის ლაურეატიო?!

თურმე ნუ იტყვით, სახელოვან გენმდივანს სიბერეში ნიჭი თვითონ გადმოედინა, ეს იყო ცნობილი მხოლოდ პოლიტიკურის წევრებისათვის, რომ მას გრიფით „საიდუმლოდ“ ლენინური პრემია მიენიჭა „დახურული ნაშუგვრებისათვის“.

იმ მაგიდას, რომელსაც აღრე გენმდივანი უჭდა, დაკეტილი დარჩა ერთი სასეე უჯრა. და როცა ხალხის მოთხოვნით, როგორც იქნა, გაიხსნა ის უჯრაც, იქ მყოფებს სიბრალულით გული ამოუჭდათ — დიან, აღმოჩნდა მასში ნაწერი ფურცლების ლამის ასეული, მაგრამ მათგან ერთიც არ იყო მცირედ ფასეული!


იდეური სახატედან მე თვითონ ჩამოვხხენი ჩემი ნაბოლარა ხატი და მას შემდეგ პოლიტწმინდანებს აღარ მივაგებ არავითარ პატივს! აღარც მინტერესებს, თუ მას შემდეგ რა ხდება სახატეში, თავს რუხულად შევუწყვირო: „ნე სტოიტ, ზრია სებია უტე-შიტი!“

ასე დაცარიელდა ჩემთვის სახატე კრემლი და სამუდამოდ შემაშრა თანაგრძობის კრემლი!





ნახ. მ. აბაშიძისა



ლიოგენები

ტრაპიზონს მივეშურები,
 ვნახავ ხუფათს და რიზეს!..
 თუ მკითხავთ, რა მიხარია,
 ახლავ გეტყვით მიზეზს:

თუმცაღა ფული არა მაქვს,
 ვერც გავინაღდებ ვექსილს,
 მძლე იარაღი თან მიმაქვს —
 ყოვლისმპყრობელი სექსი!

ეს ჩემი ჯგუფის უფროსი
 ხელებს ამოდ მუშტავს! —
 მოვივლი ბაზრის სანახებს,
 ხელად ვიშოვი მუშტარს!..

„სექს-კლუბი!“ — ვხედავ, ვკითხულობ,
 მივიღივარ, კარებს ვაღებ,
 ორიოდ დღეში „ვაკეთებ“
 ვიდვოსა და ჭაღებს!..

ნეტა, რა ჩემი საქმეა,
 თურქებმა ვინ სად ჰქელეს?!
 თითო კოცნაში ვღებულობ
 „მალბოროსა“ და „ქემელს“!..

რა უშავს, ვის დავუწვები,
 ინტელიგენტს თუ ყასაბს?
 დუბლიონკასაც დავირტყამ
 ჩემი ნამუსის ფასად!

ის ავი თვალი დაივსოს,
 მე რომ გაკილვით მიშვრს!
 კვლავ გამოვივლი ტრაპიზონს,
 ათინასა და რიზეს!..

აინუნშიაც ვერ მოვლენ
 ჩემი დები და ძმები
 და ჩემს ბუნჩულა ქმარიკოს
 ჩავეხუტები ვნებით!

ნუგზარ აფსაზავა



მილიონი წლის წინათ დედამიწაზე წარმოშობილი სიცოცხლე ეკოლოგიური მიზეზით გეოლოგიურად ხანმოკლე პერიოდში ისპობოდა და ახალი იქმნებოდა!.. ამის დასტურია, თუნდაც, დინოზავრების გადაშენება და ძუძუმწოვართა წარმოშობაც. ეკოლოგიური კლიმატის შეცვლამ ვულკანური ამოფრქვევების აირები უნაგბადით გაამდიდრა, რამაც გარემოში უნაგბადის მოყვარული არსებანი ერთიანად მოამარავლა!

ცოცხალ არსებობაგან ადამიანი ერთადერთი მეტყველი ფენომენია, რომელიც არ დაელოდა წყალბოხას ბუნებისაგან, ბარბაროსულად შეიჭრა მის წიაღში, დაიმორჩილა ფლორაც და ფაუნაც, გამოსტაცა ბუნებას ყოველივე სიყვითელი-სიმდიდრე, რითაც საბოლოო ჯამში საფრთხე შეუქმნა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ყოველ ცოცხალ არსებას! ადამიანმა მართლაც მუხლმომუხრელი შრომით შექმნა მატერიალური კულტურის შესანიშნავი ნიმუშები. მაგალითად, კაცობრიობის უნიკალური მონაპოვარი — ლითონური იარაღი. ამ მჭრელმა და ბასრმა იარაღმა ადამიანი უმწეობიდან, წარმოიდგინეთ, უძლეველობამდე მიიყვანა და შეაძლებინა მშობლიურ პლანეტაზე ბატონობა!

იარაღმა კაცი დაარწმუნა იმაში, რომ „ღონიერი ბევრს შემუსრავს, გონიერი — უამრავს!“ ამან კი სტიმული მისცა მას არნახული გონივრული მოქმედებისაკენ. ადამიანის გენიამ გლობალური ტექნიკური ცივილიზაცია შექმნა, რითაც იგი ფაქტობრივად საკუთარ თავს დაუპირისპირდა. კაცთა გონივრულმა მოქმედებამ ატომური ბომბიც კი შექმნა, ხოლო იმავე კაცთა გაუგონარმა „გენოსობამ“ ეს ბომბი ხიროსიმასა და ნავასაკში ააფეთქა!.. მოგვიანებით, ასევე შეიჭრა რაკეტული ტექნიკა კოსმოსში, საიდანაც იმავე კაცობრიობას ბირთვული ტრაგედია ემუქრება!..

დღეს ადამიანი საავტომობილო ტექნიკით მიწიერი სიცოცხლეს უმოწყალოდ სპობს! ცოცხალ ორგანიზმზე გამონაბოლქვი აირების მავნე შემოქმედებას თავი რომ დავანებოთ, ვინ მოთვლის, რამდენი სიცოცხლე მიაქვს ავტოავარიებში.. მარტო თბილისში 1990 წლის 1 კვარტალში 49 კაცი დაიღუპა, 824 დასახარდა და გაცილებით მეტი დაშავდა!..


დღეს დედამიწაზე 5 მილიარდი ადამიანია! ყოველ წუთში პლანეტას 196 ახალშობილი ემატება და დღიური ნაშატი 80 მილიონს შეადგენს! შემდგომში თუ შეინარჩუნა ადამიანმა გამრავლების ასეთი ტემპი, უახლოეს მომავალში ისე გავმრავლდებით, რომ მოძრაობისას ერთმანეთს შევხვებით! ადამიანებს ვერ დაიტევს დედამიწა! კაცი, ალბათ, ზღვებსა და ოკეანეებს მიაშურებს! გაჩნდება ადამიანის საკვებით, სათბობით, უნაგბადით, საცხოვრებელი ბინით, სასმელის წყლით აუცილებელი მომარაგების პრობლემა! წინა პლანზე წამოიწვეს ადამიანის დასაქმების საკითხი. კაცი ზღვებსა და ოკეანეებზე მოტივტივე საწარმოებსა და სახლებს ააშენებს. ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე დიდძალი ოქრო, ვერცხლი და სხვა ლითონია თავმოყრილი. ქართველები შავ ზღვაზე ააშენებენ მოტივტივე მეტალურგიულ ქარხნებს ჭიათურის მანგანუმის ბაზაზე, მით უფრო რომ, მოძვე დაშეკნანი მალე გვეტყვის უარს რკინის მადნის მოცემას!

რკინის მადანი ახლა უკვე ზღვის წიაღიდანაა ამოსატანი ან ხმელეთიდან შემოსატანი. პოპულარულ ქალაქ მადნეულის ოქროს საბადოს და თანხლებს სხვა ფერად ლითონებს შავი ზღვის „მეტალურგიულ კომბინატში“ გამოვადნობთ! ჩვენი ქართული ოქრო, ბოლოს და ბოლოს, ეროვნულ აღორძინებას მოხმარდება! შევქმნით ახალ ლეგენდებს ოქროს საწმისზე! საქართველოსკენ დაიძრება ახალი იაზონები, ახალი მედეები! საქართველოს საკუთარი ოქროთი შეედლება თავის რჩენა! ვეროპის ქვეყნები ჩვენთან მჭიდრო ეკონომიკური კონტაქტების დამყარებაზე იოცნებებენ! ჩვენ კი ნამიბიასთან ან კამბოჯასთან დიპლომატიურ ურთიერთობას უპირატესობას

მივანიჭებთ, როგორც კოლონიალიზმის უკანასკნელ მსხვერპლთან! წარმოიდგინეთ, გვალბარებს ამერიკაც, რომლის მეშვეობით გორბაჩოვთან უმაღლეს დონეზე „ჩავაწყობთ“ დამოუკიდებლობას! ეს რეიგანის პრეზიდენტობის დროს რომ გაგვეკეთებინა, თანაც ნენსი რეიგანის გურული წარმოშობა რომ გამოგვეყენებინა, საქართველოს დამოუკიდებლობა კარგა ხანია მიღწეული ექნებოდა! ზღვაზე გაბატონებისას ხმელეთის ეკოლოგიის პრობლემა თითქმის მოგვარებული გვექნება: ხმელეთს მანქანათა გამონაბოლქვი აღარ შეაწუხებს, არც მანქანის საბეგრო გადასახადი გაიგზავნება საქართველოს ფარგლებს გარეთ, როგორც ეს დღეს ხდება! თბილისში 180 ათასი ავტომანქანაა, რომელთა საერთო საბეგრო გადასახადი წელიწადში 16 მილიონ მანეთს შეადგენს! ეს თანხა დღემდე მთლიანად რუსეთში იგზავნება! ზღვაზე „მოტივტივე ყოფითი“ კულტურის შექმნისას საბეგრო შემოსავალი ახალ საქართველოს მოხმარდება! ასე მივალწევთ დამოუკიდებლობას! სხვა საქართველო სად არის?! ჩვენს მაგალითს აწერბაჩანი მიბაძავს და „მოტივტივე რესპუბლიკას“ კასპიის ზღვაზე შექმნის! ცხადია, ვალში არც სომხეთი დარჩება! იგი სევანის ტბაზე „გამარდება“. ასე შეიქმნება „ამიერკავკასიის მოტივტივე რესპუბლიკათა“ ფედერაცია! კავკასიელთა მაგალითს ბალტიისპირეთიც გადაიღებს, თუ მანამდე არ დაიწყო ლიტვურ-ლათვიურ-ესტონური „ტივის შეკვრა“! ყველაზე გვიან, რა თქმა უნდა, შუა აზიელები „გაიღვიძებენ“. მათ ზღვაზე „ტივტივის“ საფეხური ისე უმეძღვება გამოტოვონ, როგორც თავის დროზე კაპიტალისტური განვითარების მაჯანდას აუარეს გვერდი. ასე ცურვა-ტივტივში ვიცხოვრებთ და ვიქნებით აბებით დანაყრებულნი! გვექნება აბების ტალღი, რომლებზეც გაიცემა: მწვადი, ხიზილთა, კუჭმაჭი, ჩაჭაფული... და, რაც მთავარია, მაგარი სასმელები! აბები მიწერული სიდიდის იქნება, ადამიანის ორგანიზმში მცირე მოცულობას დაიკავებს, ამიტომ თანდათანობით გადაგვარდება ადამიანის კუჭ-ნაწლავი! უმოქმედობის გამო ბევრი ორგანო „შეწყვეტს“ ჩვეულ ფუნქციონირებას. მოკლედ, წელს ქვემოთ ადამიანი „გამარტივდება“. ასე ვიცხოვრებთ გარდაქმნის დამთავრებამდე! მე შენ გეტყვი, გვალვა შეგვაწუხებს თუ მიწისძვრა, მეწყერი თუ ზვავი? მეტეორი თუ ჩამოვარდება, მრავალსართულიან კორპუსებს შორის ჩაივლის და ზღვაში ჩაფარდება! ხანძარი ხომ საერთოდ ვერაფერს დაგვაკლებს! ადამიანებს განსაკუთრებით საკანალიზაციო პრობლემები შეაწუხებს: გამოყენებული პროდუქტები საბოლოოდ ხომ ზღვაში აღმოჩნდება! როგორც ზღვას, ისე ხმელეთს შეაწუხებს არნახული სუნი! ისე, გიყვარდეს, დასუქდებიან თევზები — ორაგული, შამაია, კალმახი!..

ასე ვსივთვრებთ ხან ტივით, ხან ნავით, ხან „მოტივტივე კორპუსით“. ასე ტივტივით მავალ მეტივებს დაიპყრობს მშვენება „ტივის რიტმების“, ცქერას მიაპყრობს ტივის სიტურფეს, ვეღარ შეამჩნევს ხიფათს რიფების მჭერა, ჩაყლაპავს ნავს მძლე ტალღები, მენავთო ტივის ტრფობის აისი! ისე დაღუპავს ჩვენებს გარდაქმნა, როგორც ოსონმა — დინოზავრები!

ავთანდილ წილოსანი





TATAR FOLK FESTIVAL
SABANTUY



International
cartoon
CONTEST



საბჭოთაო და იუმორის
ჟურნალი „სამსხი“ № 4
(1830). თებერვალი. გამო-
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ პოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი);
ჭახუა ამირჯიბია, ნოზაძე
ბარათაია, რევაზ თვარაძე,
ქემალ ლოლუა (მხატვარ-
რედაქტორი). ნოდარ შალა-
ზონია, ალექსანდრე ხაშო-
ნია, ბეჟან სიხარულიძე
(მთავარი რედაქტორის მო-
ადგილე); ჯანსუღ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიგვიანი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადეცა ასაწყობად
22. 01. 91 წ. ხელმოწერი-
ლია დასაბეჭდად 22. 02.
91 წ. ქალაქის ზომა
60x90¹/₈, ფიკური ნაბე-
ჭდი ფურცელი 1,5. სად-
რიცხვო-საგამომცემლო თა-
ბახი 1,9. საქართველოს
ჟურნალ-გაზეთების გამო-
მცემლობა „სამშობლო“.
შეკვ. №183. ტირაჟი 70.000.
ჟურნალი გამოდის თვე-
ში ორჯერ. რედაქციაში
შემოსული მასალები ავ-
ტორებს არ უბრუნდებათ.


ჩვენი მისამართი: 880008.
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი.
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილის —
93-19-42, პ/მგ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგებების—
93-49-32, რედაქტორ-ლიტ.
მუშაკების — 99-02-38,
მდივან-მგ მან. ქანის —
99-76-69.

Сатирико - юмористи-
ческий журнал «НИ-
АНГИ» (на грузинском
языке). Тбилиси, пр.
Руставели № 42. Ти-
пография журнально-
газетного издательства
Грузии «Самшобло».
ул. М. Костава № 14.

ფანი 40 კაპ.


ინდექსი 76187



კარიკატურები იზრკვიან და იმარჯვებენ!

ვინ არ იცნობს ქართველი მხატვრის —
ვასტანგ კუციანს — ნახატ-კარიკატურებს!
ისინი მუდამ ილიმებიან და ამ ღიმილით კა-
ცობრიობის კეთილ სამსახურს ეწევიან, სხვა-
თა ნაკლებეც მიგვიითიებენ და საკუთარ თავ-
ზეც დაგვახედებენ!
ამჯერად ვასტანგ კუციანს კარიკატურებმა
ღიმილი დროებით დაივიწყეს და სულ სხვა
ასპარეზზე გადაინაცვლეს — მუშტი-კრივი
სცადეს ბედი!..
კარიკატურისტთა ევროპული ორგანიზა-
ციების ფედერაციის ინიციატივით შარშან,
ავვისტო-სექტემბერში, ქალაქ ყაზანში მო-
ეწყო მხატვარ-კარიკატურისტთა პირველი
საერთაშორისო კონკურსი.
კონკურსში მონაწილეობა მიიღო ორმოც-
ზე მეტი ქვეყნის ოთხასამდე შემოქმედმა.
კონკურსის თემა იყო ჩხუბი, გნებავთ,
მუშტი-კრივი, გნებავთ ჭიდილი!.. კარიკა-
ტურათა ასპარეზი — დღევანდლობა, მომა-
ვალი, მითი, ზღაპარი, სიმბოლიკა!..
კონკურსის ყოველ მონაწილეს უნდა წა-
რედგინა 6-6 ნახატ-კარიკატურა.
ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან მხო-

ლოდ ერთი — ქართველი მხატვარი იყო
მიწვეული.
ვასტანგ კუციანს კარიკატურები გასრულე-
ბული იყო ქართულ ეროვნულ სტილში, რა-
მაც ძირითადად განაპირობა წარმატება.
პირველი პრემია — გრან პრი და ოქროს
შურაღე გადაეცა იაპონელ კარიკატურისტს
საკაი სადესო, მეორე პრემია და ვერცხლის
შურაღე — კიეველ იური კოსობუკინსა და
ლენინგრადელ ალექსანდრე სერგეევს.
საპატიო დიპლომი და ბრინჯაოს შურა-
ღე — ჩვენს თანამემამულეს ვასტანგ კუციანს.
ეს მაღალი ჯილდო ქართველ მხატვარს გა-
დაეცა უკვე მოსკოვში, ახალგაზრდობის სა-
საზღვედ მოწყობილი გამოფენის გახსნისას,
რომლის ექსპოზიცია შედგენილ იქნა ყაზანის
საერთაშორისო გამოფენიდან აღებული საუ-
კეთესო ნამუშევრებით, მათ რიცხვში ვას-
ტანგ კუციანს ნახატებითაც.
შურაღე მუსულმანური მითოლოგიის
ცნობილი პერსონაჟია — ცხვრისა და ეშმა-
კის ნაჯვარი. მისი „ჩამოყვანა“ საქართველო-
ში ქართველი კარიკატურისტის დიდ გამარჯ-
ვებად უნდა ჩაითვალოს!



საქართველოს მხარე

საქართველოს მხარე

საქართველოს მხარე

საქართველოს მხარე

საქართველოს მხარე

სახ. მ. სასტუმროს